პროლეტარებო — ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 135 (18377) ოთხშაბათი, 9 ივნისი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

საიუბილეო წელს — დამკვრელური შრომის ვაჩუქრ!

ვიმუშაოთ დევიზით: ნახევარი წლის გეგმა—ვადაზე ადრე და გადაჭარბებით! ამოცანათა შესრულებას შევეძლებთ იმის საფუძველი, რომ წლიური გეგმა 10 თვეში შესრულოთ!

სასურსათო პროგრამა მოქმედებს

სოფელ ხუნწის მ. ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის ხაკვებმომპოვებლებმა გეგეჭკორის რაიონში ერთ-ერთმა პირველებმა შეასრულეს ხენაფის ჩადების დავალება: „ზამთრისათვის უკვე დამზადებულია 5 ათასი ცენტნერი ნაწნული ბალები. ერთწლოვანი კულტურების თბილა გრძელდება. მექანიზატორებს განზრახული აქვთ დაზვინონ სულ ცოტა ორი ათასი ცენტნერი თივა, ხოლო ამ ფაფრობებს, სადაც ბალახები უკვე გაითიბა, ხნავენ და სასლოსე სამინდს თესავენ.

კოლმეურნეობაში შრომობენ უაირათბანი მეურნეები. როგორც მეობლეური, სასხლხორცეული საქმე, ისე მიიღეს მათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის მიერ დასახული სახურსათო პროგრამა. გადაწყვეტის უკვე მიმდინარე სამეურნეო წელს გაზარდონ ჩაის, სიმინდის მოსავლიანობა, მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება. თუ შარშან მ. ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის შემოსავალმა 1.880 ათასი მანეთი შეადგინა, მიმდინარე წლისათვის ეკონომისტები ვარაუდობენ ამ ციფრს სულ ცოტა ახლ. ათასი მანეთი მიუჭატონ.

ხურაბზე: აგრონომი ოლეგ ჯიქია და ინჟინერ-მექანიზატორი გოდერძი სულავა.

ი. ჭოხონელიძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მეცნიერული აგრით და პრაქტიკით

ბოლოდ სამი კვირა გავიდა, რაც მუშაობა დაამთავრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმმა, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის ისტორიაში შევა, როგორც მეცნიერული აზრისა და მისი პრაქტიული გამოყენების მძლავრი დამჩქარებელი, ამ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ საქმეში საქართველოს კომუნისტებისათვის, ყველა მეშრომელისათვის სამიდო და ნათელი ნიშანსვეტი.

პლენუმმა ღრმად, საფუძვლიანად, მთელი სიგრძე-სიგანით განიხილა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები თბილისში გამართულ ზეგიზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში ჩამოყალიბებულ მითითებათა შესაბამისად მეცნიერების შემდგომი განვითარებისა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის. ამ საკითხზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მოხსენება პლენუმს წარუდგინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

და აი, ამ დღეებში გამოქვეყნდა საბოლოო ტექსტი მოხსენებისა, რომლითაც პლენუმმა მთელი ჩვენი რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციას მიმართა. იგი ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოამზადა მისი განხილვის დროს შემოსული წინადადებებისა და დამატებების, აგრეთვე პლენუმზე ამხ. ე. ა. შევარდნაძის მიერ წარმოთქმული საბოლოო სიტყვის გათვალისწინებით, და დამტკიცებულია, როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის მოხსენება.

მოდით, კარგად ჩაგუკვირდეთ ამ მოხსენების ნათელ სტრიქონებს, იგი, როგორც რესპუბლიკაში მეცნიერების შემდგომი განვითარებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების შესახებ უდიდესი დოკუმენტი, სწორედ მეცნიერული დებულებების შემუშავებისა და საკითხების მეცნიერული დასაბუთებულობის ბრწყინვალე მაგალითია.

მოხსენების ცალკეულ თავებში ლაკონიურად და ყოველისმომცველად არის გაშუქებული, როგორც მეცნიერების მიღწევები საქართველოში, ისე ეკონომიკის ინტენსიური განვითარებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის, უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის, ხალხის კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობის, უკეთ დაგეგმვისა და უკეთ მართვის, მეცნიერთა კადრების აღზრდის, პარტიული ხელმძღვანელობისა და დასმრების გაძლიერების დიდმნიშვნელოვანი საკითხები.

ამასთან, როგორც მოხსენებაშია აღნიშნული, ყველა აღძრული საკითხი, ყველა პრობლემა მარტო რესპუბლიკის პარტიული და სამეცნიერო ძალების მეცადინეობით როდი გადაწყდება. ბევრი რამ საკავშირო ორგანიზაციების კომპეტენციისაა, ბევრიც საგისკუნოა.

მაგრამ პლენუმის მთავარი აზრი, მთელი სულისკვეთება ის არის, რომ მისი გადაწყვეტილებანი დიდ დასაბამს მისცემს მეცნიერული კვლევისა და პრაქტიკაში მისი გამოყენების ძირეულ გაუმჯობესებას, მთელი მეცნიერული მუშაობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის დონის საგრძნობ ამაღლებას.

დიდხანს, რუდუნებითა და გულმოდგინედ მზადდებოდა პლენუმი. შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ იგი ლოგიკური გაგრძელება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყველა იმ პლენუმისა, რომლებიც პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების შემდეგ გაიმართა. სწორედ ყველა ამ წინა პლენუმმა, რომელთა გადაწყვეტილებებმაც მოუმზადა და შეუქმნა პირობა რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის სფეროებში სერიოზულ ჩამორჩენათა აღკვეთას, განსაზღვრა და ჩამოაყალიბა კიდევ საქართველოს მთელი პარტიული ორგანიზაციის საბრძოლო ამოცანა, რომ მალე ჩვენი რესპუბლიკა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ქვეყნის მოწინავე პოზიციებზე უნდა გავიდეს.

საამისო მთავარი გზა კი, როგორც საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, „მეცნიერების, მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის შემდგომი ინტენსიური განვითარებაა".

ამიტომ დღეს, ჩვენი შემოქმედებითი შრომისა და შენების ამ ეტაპზე, როცა განესაზღვრავთ უფრო შორეული პერიოდის გეგმებსა და პროგრამას, საფუძველს ვუყრით მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობისა და კულტურის უფრო ნარმაგებულ აღმასვლას, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით უკეთ ვსებდით მომავალი საუკუნის საქართველოს ერთიან სურათს.

როდესაც სოციალურ-ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტაში ნინა პლენუმების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სხვა ღონისძიებების კეთილ კვალზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ორგანიზაციულ მხარესაც, ჩვენი პლენუმების. პარტაქტივების, სხვა ფორუმების მომზადებისა და მოწყობის შესანიშნავ პრაქტიკას, რაც სწორედ ამ ბოლო ათწლეულის მანძილზე დამკვიდრდა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებს, ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა მუშაკებს საინტერესო შეხვედრები და ხანგრძლივი გულახდილი საუბრები აქვთ ჩვენი მეცნიერებისა და ტექნიკის თვალსაჩინო მოღვაწეებთან, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის მუშაკებთან, სამეცნიერო და შრომითის კოლექტივებთან, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირული ორგანიზაციების ნარმომადგენლებთან. დიდი სახელმნიფოებრივი საკითხებისა და პრობლემების ხალხთან ერთად, მათთან მოთათბირებით გადაწყვეტის კეთილმა ტრადიციამ განსაკუთრებით იჩინა თავი გასული წლის იანვარსიდან, სწორედ მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნერილი რესპუბლიკის კომუნისტებისა და კომკავშირელებისადმი, მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის სპეციალისტებისადმი, ყველა შრომელისადმი — აქტიური მონაწილეობა მიეღოთ მეცნიერების შემდგომი განვითარების, სახალხო მეურნეობაში მისი მოღწევების დანერგვის საკითხებზე დიდ პლენუმისწინა ბჭობაში.

ამ მიმართვას მრავალი გამოხმაურება მოჰყვა. გამოითქვა ათასობით საყურადღებო წინადადება, რჩევა-დარიგება, სურვილი. რეკომენდაცია და კრიტიკული შენიშვნანი.

მაგრამ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმი სხვა რამითაც არის განსაკუთრებული და გამორჩეული. იგი გასცდა რესპუბლიკის ფარგლებს. მის დიდ მნიშვნელობასა და რეზონანსზე ოვალსნათლივ მიუთითებს თუნდაც მარტო ის ფაქტი, რომ პლენუმის მზადებით, მუშაობით დაინტერესდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის შესაბამისი და სხვა განყოფილებები, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, მთელი რიგი საკავშირო სამინისტროები და სახელმნიფო კომიტეტები. და არა მარტო დაინტერესდნენ, ზოგმა მათმა ხელმძღვანელებმა უშუალო აქტიური მონაწილეობა მიიღო კიდევ საკითხის განხილვაში, პლენუმის მთელ მუშაობაში.

უკანასკნელ ხანს, განსაკუთრებით საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მიმდინარეობის დღეებში, პრაქტიკაში დამკვიდრდა სქემიური მუშაობა, რაც პრობლემების უფრო ფართო განხილვის, საქმის არსში ღრმა ნვდომის, მეტი და პროფესიული აზრის გამოთქმის საუკეთესო საშუალებად იქცა. ეს გამოცდილება კიდევ უფრო გამდიდრდა ამ პლენუმზე, რომლის გახსნამდე ნინა დღეებში სამშაო ჯგუფებში უკლებლივ ყველა მონაწილეს განიხილა მოხსენების ძირითადი დებულებანი, სხვა დოკუმენტები და პრაქტიკულ ღონისძიებათა გეგმა.

სწორედ პლენუმისათვის ასეთმა საგულდაგულო მზადებამ, მის სხდომებზე უადრესად საქმიანმა, პრინციპულმა, საფუძვლიანმა სჯა-ბაასმა განაპირობა მეცნიერული შემოქმედებითი პროცესის უფრო სრულყოფილი მართვის, ფუნდამენტურ მეცნიერებათა განვითარების, რესპუბლიკის ცხოვრებასა და პრაქტიკაში, სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ მიღწევათა დანერგვის ზედმიწევნით გააზრებული პროგრამის შემუშავება და მიღება.

მაშ ასე: რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციას ხელთ აქვს ნათელი სამომავლო პროგრამა ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის მასალების სახით. ახლა მთავარია არა მარტო სამეცნიერო კოლექტივებმა, თითოეუომა ჩვენგანმა სწორად გამოიტანოს დასკვნები, დროულად იპოვოს საკუთარი ადგილი რესპუბლიკაში მეცნიერების შემდგომი განვითარებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის საპატიო ბრძოლის დიდ გზაზე.

ძნელია ყველა იმ ფაქტის მარტო ჩამოთვლაც კი, რომლებიც ნათელყოფს საქართველოს მეცნიერების მიღწევებს, იმ რეალურ შესაძლებლობებს, ჩვენი რნმენა რომ ემყარება, რაც კიდევ უფრო განგვიმტკიცებს იმედს, რომ პლენუმის შესანიშნავი გადაწყვეტილებანი მალე პრაქტიკულ საქმეებად იქცევა.

რესპუბლიკაში სამეცნიერო დაწესებულებათა ფართო ქსელია. მათში, აგრეთვე უშუალოდ წარმოებაში 1300-ზე მეტი მეცნიერებათა დოქტორი და 9 ათასამდე მეცნიერებათა კანდიდატი მოღვაწეობს.

მეცნიერული კვლევის ეკონომიური ეფექტიანობის კარგი მაგალითია ის, რომ, თუ მეცნრე ხუთწლედში მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა დანერგვის ეკონომიკური ეფექტი მრნველობაში 125 მილიონ მანეთს შეადგენდა, მეათე ხუთწლედში ამ მაჩვენებელმა 217 მილიონ მანეთს გადაამეტა.

ამ და სხვა შთამბეჭდავ ფაქტებს რომ აანალიზებდა, პლენუმი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების, მეცნიერთა და ყველა შრომითი კოლექტივის ყურადღებას მიაპყრობს იმ მთავარ ამოცანას, რომ დღეს წარმოებაში მეცნიერების მიღწევათა დაუნერგავად სეროზულ ნინააღმდეგობებს ლაპარაკიც კი წარმოოდგენელია.

ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ვლადიმერ ილიას ძე ლენინი ამბობდა, რომ ჩვენ უნდა დავამარცხოთ კაპიტალიზმი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში უმაღლესი შრომის ნაყოფიერებისათვის ბრძოლითო. ეს მოთხოვნა კიდევ უფრო აქტუალური ჩვენს დროში, როცა კაპიტალიზმი, მართალია, დამარცხდა პოლიტიკური თვალსაზრისით, მაგრამ ყოველმხრივ უნდა დავამარცხოთ ეკონომიკური თვალსაზრისითაც. ამიტომ ფაბრიკებსა და ქარხნებში, მშენებლობებსა და ტრანსპორტზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეცნიერული აზრის, ჩანაფიქრის განხორციელება შრომის ნაყოფიერების მუდმივ ზრდას უნდა ემსახურებოდეს.

ახლა რესპუბლიკაში ერთი და ორი როდია ისეთი სანარმო, რომლებშაც მეცნიერებთან მჭიდრო კავშირით, მათი რეკომენდაციის განხორციელებით ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მიჩვენებლისა და, უპირველესად, შრომის ნაყოფიერების სტაბილურ გადიდებას მიაღწიეს. იმის შესანიშნავ მაგალითად, თუ რა შედეგი შეუძლია მოუტანოს წარმოებას მეცნიერთან ნუდმივმა კავშირმა, სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებთან პარტნიორობამ, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებამ, „საქსამოიქიმმრეწვის" სანარმოო გაერთიანების მუშაობა გამოდგება. მეათე ხუთწლედის მანძილზე ამ შრომის ნაყოფიერება 44 პროცენტით, ხოლო წარმოების მოცულობა 54 პროცენტით გადიდდა. წარმოების, მეცნიერებისა და ავტომატიზაციისა რომ არა, ასეთ შედეგებზე ლაპარაკი ზედმეტი იქნებოდა. გაერთიანების ხელმძღვანელობა საბჭოთა კავშირის 30 სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტთან მჭიდრო შემოქმედებითი კონტაქტით წყვეტს ტექნიკური ხასიათის ყველა სიახლის დანერგვას, პროდუქციის ათვისებასთან, მისი ასორტიმენტის განახლებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. ამიტომ არის, რომ „საქსამოიქიმმრეწვის" სანარმოები ერთ-ერთი ყველაზე მექანიზებული და ავტომატიზებულია დარგში, და განა მარტო დარგში! ხელის შრომის მაქსიმალური შემცირების შემდეგ გაერთიანების მაღაროების, უბარიკებისა და ქარხნების ათობით ყოფილი დამსმრე მუშა მანქანათა მოუჯდა, ან ოპერატორის პროფესია ათივისა და ტექნოლოგიურ პროცესებს მართავს. მაღალი კულტურის წარმოება საალერენბებელო გახდა. გაერთიანების მოგების დიდი ნანილი მუშა-მოსამსახურეებისათვის ბინების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებების, სპორტული კომპლექსების მშენებლობას, დამხმარე მეურნეობების შექმნას ხმარდება.

მეცნიერების მიღწევების წარმოებაში დანერგვისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების მხრივ კარგი გამოცდილება შეიძინეს აგრეთვე რუსთავის ტექფაბრიკამ, ფოთის პიდრომექანიზაციის მანქანათსაშენებელი და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნების, ქიმიურის სამთამადნო კომბინატის, თბილისის „ელექტროაპარატის", „საქელექტრომანქანის" სანარმოო გაერთიანებების და სხვა შრომითმა კოლექტივებმა.

სამწუხაროდ, მეცნიერებთან კავშირით, მათი რეკომენდაციებით დანერგვით ბევრი საწარმო ვერ დაიკვეხნის. ბევრგან არ ეძიებენ, ან საერთოდ გაურბიან კონტაქტებს მეცნიერებთან, და შედეგებიც საეალო აქვთ. ნარმოების განვითარების პერსპექტიულ გეგმებს არ უდგენენ საფუძვლად მეცნიერულად გაარკვევ ფაქტებზე, არ ეყრდნობიან თანამედროეოვობის უახლეს მიღწევებს. ეს უნინარეს ყოველისა, ეხება რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სანარმოებს. მართალია, ამ დარგში ბოლო ათი წლის მანძილზე წარმოების კონცენტრაციის, სპეციალიზაციის, ახალი ტექნიკის დანერგვისა და სხვა ღონისძიებების შედეგად საგრძნობი ძვრები მოხდა, მაგრამ ეს სრულიადაც არ არის საკმარისი. დიდია ხელის შრომის ხვედრითი წილი, მდარეა პროდუქციის ხარისხი. აქ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ღრმად გაანალიზებული გეგმები ან არა აქვთ, ან თუ აქვთ, ცუდად ასრულებენ.

რა თქმა უნდა, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის დროს მეცნიერების მიღწევების ნარმოებში დანერგვის მოთხოვნა იმდენად საყოველთაო და გლობალური, რომ მის, საეროოდ პროგრესის აბკარა მონინააღმდეგეს, ვერც იტყვი. მაგრამ ზოგიერთი უწესების, დაწესებულების ხელმძღვანელს კარგად როდი ესმის მეცნიერების როლი. სწორედ ამის გამო ხდება, რომ კარგი აზრი პრაქტიკაში, ცხოვრებაში გასაანს ვერ პოულობს.

მეცნიერებთან კონტაქტების განმტკიცებას, მათი რეკომენდაციების განხორციელებას მთელი სერიოზულობით უნდა მოეკიდონ საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო დაქვემდებარების მანქანათსაშენებელი სანარმოები, რესპუბლიკის მუშაკები, კვები, ხე-ტყის დამამუშავებელი მრეწველობის ფაბრიკები, ქარხნები, კომბინატები, სანარმოო გაერთიანებები. სხვანაირად ნიღა ვერ შეამჩნევენ ხელის შრომის ხვედრით წილს, რომელიც საგრძნობლად აღემატება საშუალო საკავშირო მაჩვენებელს.

პლენუმმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო მანქანათმშენებლობის განვითარების, სათბობ-ენერგეტიკული ბალანსის გაუმჯობესების პრობლემებს, ხაზგასმით აღნიშნა, რომ მეცნიერება ყველაზე ნაკლებად არის გამოყენებული ისეთ სფეროებში, როგორიც ტრანსპორტი და კავშირგაბმულობაა.

როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე საქართველოს მეცნიერებას ბევრ რამეს აკადენს სასურსათო პროგრამა, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმმა დაამტკიცა. ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ასე განსაზღვრავს მეცნიერთა ამოცანას სოფლად: „სოფლის მეურნეობის ეფექტიანობის თავიდათავი წარმოების ინტენსიფიკაციაა. და სასურსათო პროგრამაც სწორედ ამ გზას გვისახავს ორიენტირად. აქედან გამომდინარეობს პასუხსაგები ამოცანები, რომლებიც დგას ჩვენი მეცნიერების წინაშეც".

ჩვენი რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები კომპლექსურ ღონისძიებებს ახორციელებენ ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემების გადასაწყვეტად, როგორიც არის კოლხეთის დაჭაობებული და სხვა რაიონების დამლაშებული მინების ათვისება, ციტრუსებისა და ვაზის დაცვა ყინვა-სეტყვისაგან, პირუტყვის პროდუქტიულობის ზრდა, ახალი ჯიშის მეცხვრეთა გამოყვანა, ინდუსტრიული საკვებნარმოების ტექნოლოგიის შემუშავება, ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და აპარატების შექმნა.

და მაინც, მეცნიერთა მუშაობის უკუგება როგორც სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში, ისე სოფლის მეურნეობაში არ გვაკმაყოფილებს. აბა, ვინაგარშეთ რამდენი მოსავალი იკარგება იმის გამო, რომ მეცნიერებს სათანადოდ ვერ ვიცავთ მავნებლებისაგან და ვერ ვმკურნალობთ. ცოტა კარგი მანქანები და მექანიზმები, მეცნიერული კვლევის უფრო ეფექტიან შედეგებს ელიან ჩვენი ბაღ-ვენახები, მეცხოველეობის ფერმები.

პლენუმმა დააყენა რესპუბლიკის მეცნიერული პოტენციალის შემდგომი განმტკიცების ამოცანა. ამასთან ხაზი გაუსვა მეცნიერებაში ახალგაზრდა ძალების ნაკადის გაძლიერებას, მათი აღზრდისა და ნიშნობის საქმის გაუმჯობესებას, მორალური და მატერიალური ნახალისების პრინციპების დანერგვას, მეცნიერთა საქმის მეტი მიზანმიმართულების და კოორდინაციის საკითხებს.

იმ მიზნით, რომ მეცნიერებისა და წარმოების ჭიდმარიგ ინტეგრაციას მიგალწიონ, საჭიროა პრაქტიკულად განხორციელდეს მთელი ჩვენი პარტიული ძალების ინტეგრაციაც. პლენუმმა მოითხოვა, რომ მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის ბრძოლის მთავარი ორგანიზატორი უნდა გახდეს რესპუბლიკის საკოორდინაციო საბჭო, რომლის თავმჯდომარე იქნება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი. საბჭოს სამუშაო ორგანოები უნდა იყვნენ, უნინარეს ყოველისა, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმნიფო კომიტეტი, რესპუბლიკის სახელმნიფო საგეგმო კომიტეტი აპარატი, ამ საბჭოს საქმიანობაში განსაკუთრებით აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ მეცნიერებათა აკადემია, ყველა სხვა სამეცნიერო ორგანიზაცია. გათვალისწინებულია აგრეთვე საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობაში შეიქმნას სამუშაო ჯგუფები, რომელებსაც დარგების მიხედვით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები უხელმძღვანელებენ.

რა თქმა უნდა, როგორც პლენუმის მოხსენებაშია განმარტებული, საბჭო და მისი სამუშაო ჯგუფები თანაბრად იზრუნებენ როგორც წარმოებაში მეცნიერების მიღწევათა დანერგვისათვის, ისე იმისთვისაც, რომ ყველაზე ხელშემწყობი პირობები შეუქმნან მეცნიერების ნარმაებულ განვითარებას, ფუნდამენტურ კვლევას. ეს კი ჭეშმარიტად პარტიული საქმეა. ამიტომ, ბუნებრივია, პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაც ბევრად არის დამოკიდებული პირველადი პარტიული ორგანიზაციის, პარტიის რაიონული, საქალაქო, საოლქო კომიტეტების მოქნილ, განაზრებულ მუშაობაზე, მთელი ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობის გააქტიურებაზე, მათი მუშაობის სტილისა და მეთოდების დახვეწაზე.

როგორც ამას წინათ გამართულ პარტორგანიზაციათა მდივნების პირველ რესპუბლიკურ კრებაზე ითქვა, ბევრი სამეცნიერო დანესებულების პირველადი პარტიული ორგანიზაცია ვერ იჩენს სათანადო ბრძოლისუნარიანობას და სიმბეკიცეს, ვერ გვევლინება მეცნიერული კვლევის და მისი პრაქტიკაში გამოყენების ნამდვილ ორგანიზატორად. ფაქტები მოწმობს, რომ ზოგან ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის კომისიები მხოლოდ ქაღალდზე თუ არსებობენ, პარტორგანიზაციები ვერ ახდენენ გავლენას სამეცნიერო-კვლევითის სამუშაოთა გეგმების სნორად შედგენაზე, დიდ ინტერესს არ იჩენენ იმისადმი, რომ ამ გეგმებში ყველაზე აქტუალური პრობლემები შეაქონდეთ.

ახლა თავიდათავი ის არის, რომ მეტი ფხიანობა და პრინციპულობა გამოიჩინონ არა მარტო სამეცნიერო კოლექტივების, არამედ უშუალოდ მატერიალური წარმოების სფეროში მომუშავე კომუნისტებმაც. ისინი უფრო ღრმად უნდა ჩასწვდნენ წარმოებასთან მეცნიერების პარტნიორობის ცნებას.

ბევრი რამ არის დადგომდებული თვით პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნის პირად ავტორიტეტზე, მის კომპეტენტურობაზე, პრინციპულობის, თანამიმდევრული მუშაობის უნარზე.

ამკამად რესპუბლიკის ყველა პარტიული ორგანიზაციის პირველი რიგის საზრუნაკი ის არის, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის მასალები ღრმად და საფუძვლიანად გაანალნენ ქალაქისა და სოფლის ყველა კომუნისტმა, ყველა მშრომელმა.

პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, პარტიის რაიონულმა, საქალაქო, საოლქო კომიტეტებმა პლენუმის მოხსენებისა და სხვა მასალების პროპაგანდად მჭიდროდ უნდა დაუკავშირონ თავიანთი შრომითი კოლექტივის, რაიონის, ქალაქის, ოლქის კეთილიკეთების კონკრეტულ ამოცანებს, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის გამოსაყენებლად ყველა სასარგებლო წინადადების, ინიციატივის, თანსწორის პრაქტიკულ ფრთაშესხმას. მართალია, სსრკ-ში ამ დღეებში დამთავრდა სასწავლო წელი პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების ქსელში, მაგრამ როგორც ხშირად ვამბობთ ხოლმე, პოლიტიკურ-აღმზრდელობითს მუშაობას არდადეგები არასოდეს არა აქვს. ახლა როგორც არასდროს, უფრო მეტად უნდა გავაქტიურთოთ ჩვენი პროპაგანდისტული ძალები, ლექტორები, აგიტატორებისა და პოლიტინფორმატორების, პოლიტიკური კაბინეტების, სხვადასხვა მასობრივი სამუალებების საქმიანობა, უნარიანად, საზრიანად და მოფიქრებულად გამოვიყენოთ პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ის ატმოსფერო, რომელიც გამოწვეულია სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისთვის, ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების არჩევნებისათვის მზადებისა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებისა. საჭიროა ყველა მშრომელმა კარგად იცოდეს, რომ მათი ეს შემართება მაშინ მოიტანს „უკეთეს ან სასურველ შედეგს, თუ საქმეს მუდამ მეცნიერული პოზიციებიდან მიეუდგებიან, თუ ბევრ ეურ შემამჩნევენ ხელის შრომის ხვედრით წილს, რომელიც საგრძნობლად აღემატება საშუალო საკავშირო მაჩვენებელს.

ტექნოლოგიური პროცესების რაციონალიზაციის, აგრეთვე ზოგიერთი სხვა ფაქტორის ბარეზე, ქარხანაში პირობებს უკვე მიმდინარე წლის დამლეგისათვის 28-30 პროცენტით გაზარდონ შრომის ნაყოფიერება — მაჩვენებელი, რომელიც სჭარბობს საშუალო საკავშირო მაჩვენებელს.

ამას მივადწევთ, შრომის ორგანიზაციის სრულყოფის შედეგადაც, — თქვა პარტკომის მდივანმა ვ. ბახტურიძემ, იქმნება დიდი კომპლექსური ბრიგადები, სპეციალისტებმა გამოიანგარიშეს, რომ „შუამთის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმა შესაძლებლობას მოგვცემს პირობითად სხვა სამუშაოებისათვის გავათავისუფლთ დაახლოებით 400 კაცი. თუ როიდენ მნიშვნელოვანია ეს, ისიც გვიჩვენებს, რომ ხუთწლედის დამლეგისათვის — საწარმოს რეკონსტრუქციის დამთავრებისთანავე. — ეკანიერმა სამკეთ შეეამჩიეროთ ზრომითი დანახარჯები, ამასთან ერთიორად გავადიდოთ ქიმიური ბოჭკოს წარმოების მოცულობა.

საქონელი—ხალხს

500 ათას მანეთზე მეტი დაიხარჯა მარნეულის თავსაფრის ფაბრიკის ტექნიკური განახლებისათვის. ამ სახსრებით ახალი ჩარხებით დაკომპლექტდა საქსოვი წარმოება, დაიწყეს წმინდა მალის კამკოსური ქსოვილების გამოშვება, დაახდადა ნახატის გამოსაყენის 80 შაბლონი. პროდუქციის მატებამ მილიონ მანეთზე მეტი შეადგინა.

ფაბრიკა ყოველწლიურად უშვებს 9 მილიონი მაჩეთის ნაწარმს. მასზე დიდი მოთხოვნილებაა ქვეყნის ყველა კუთხეში: შუა აზიაში, მორეულ აღმოსავლეთში, ბალტიისპირეთში.

ფაბრიკა რამდენიმე წლის წინათ აავეს. მარნეულის დაახლოებით ორასამა მცხოვრებმა, ძირითადად ქალებმა, შეიძინეს მკერავის, მომჩინავის პროფესია. 60 მათგანი შინ მუშაობს.

საწარმოს კოლექტივის წარმატებული მუშაობის მეოხებით ფაბრიკას ყოველწლიურად ადგილობრივ ბიუჯეტში შეაქვს და ახლოებით ოთხი მილიონი მანეთი, გეგმით კი — ორჯერ ნაკლებია გათვალისწინებული.

— საწარმო კიდევ უფრო დიდ ფუფქს მოგვცემს გამოსაყენებლად ერონის მზრენელობის დამთავრების შემდეგ, — თქვა ფაბრიკის დირექტორმა ზ. ამაშუკელმა. — ორი მილიონი მანეთით გაიზრდება პროდუქციის გამოშვება. საწმენდ ნაგებობათა აშენება საშუალებას მოგვცემს გავაუმჯობესოთ შრომის პირობები, ავამაღლოთ წარმოების კულტურა.

(საქინფორმი).

ალაპმართალი სიტყვის მთელი ძალით

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" IX ყრილობა

...ყველნენ ყანები ომის ხანძარს ნაყანნევებად გაეხადა, ქალაქები ნანგრევებად იყო ქცეული. უზნინარეს ყოველისა ხალხს პური და სახლ-კარი სჭირდებოდა. მაგრამ არც იმ პირველ ომის შემდგომ წლებში, ძნელებიდან ერამ, ავიწყდებოდა პარტიას, სახალხო მეურნეობის აღდგენის ამოცანასთან ერთად, ხალხის სულიერი სიმდიდრისთვის ზრუნვა. პარტიის მითითებით შეიქმნა სულიერი კულტურის ძლავრი ცეკა — პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გავრცელებელი საკავშირო საზოგადოება.

ცოდნა ძალაა. და ჩვენ ცოდნით უნდა ვიყოთ ძლიერნი, გვაცოდინოთ ვ. ი. ლენინი. ამ მოთხოვნის არასდროს დაეკარგავს თავისი აქტუალურობა, მით უმეტეს დღეს, როდესაც ჩვენს ცხოვრებას ასეთი ფართო გაკაფნება მიეცა და ასეთ ვრცელი-ზელ გეგმებს ვეუბნებით.

35-ე წლისთავს ეგებება ახლა საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნა". მის საქმიანობას განსაზღვრავს აკადემიკოსისა და წარმოების ნოვატორის, მინისტრისა და სკოლის მასწავლებლის, პოეტისა და პარტიული მოგაკის თანმეგობრობა. ცალ-ცალკე თითოეული და ყველანი ერთად, ისინი გაკელენას ახდენენ ადამიანთა გონებაზე მართალი სიტყვის ძალით, ეიარიდებენ მათ ცოდნით, უნერგავენ სიმტკიცესა და მრწამსს.

ლექტორი საზოგადოებრივი პროფესიაა. ღღეს ამ პროფესიას ემსახურება რესპუბლიკური საზოგადოება „ცოდნის" ორმოცი ათასზე მეტი წევრი.

შეიკრიბნენ რა თავიანთ მეცნიერ ყრილობაზე, მათმა წარმომადგენლობამ განიხილეს საქმიანობის შედეგები, ამოცანები, თუ როგორ სრულყონ ლექციური პროპაგანდა — რესპუბლიკის მშრომელებისათვის მეცნიერული მსოფლმეხედველობის, აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის, მაღალი იდეურ-პოლიტიკური და ზნეობრივი თვისებების ჩამოყალიბების ქმედითი ფაქტორი.

დიდი ცვლ

ალამართალი სიტყვის მთელი ძალით

(დასასრული)

ლების პროპაგანდას. დელეგატებმა დადებითად შეიფასეს მიზნობრივი კომპლექსური ბრიგადების მუშობა, რომლებმაც რესპუბლიკის მთელ რიგ საწარმოებში მოაწყვეს საზოგადოებრივ-პოლიტიკური კითხვები, ლექტორის დღეები, რომლებიც შეიძლება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებს. განვლილი წლის მანძილზე საქართველოში შეიქმნა 17 სახალხო უნივერსიტეტი და 48 ფაკულტეტი პარტიული ფორუმების დროებითებლის შესასწავლად.

არა მარტო ინფორმაცია მიაწოდონ რესპუბლიკის მშრომელებს, არამედ დარაზმონ კიდეც ისინი — ასეთი მიდგომა ახასიათებს საზოგადოების მიერ საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე მიღებული ისეთი კომპლექსურ-მიზნობრივი პროგრამების პროპაგანდას, როგორიც არის „საქართველოს რეგიონები 2000 წელს“, „ კოლხეთი“, „მთის ეკონომიკა“, „ჭიათურა“ და სხვები. სპეციალური გეგმით უუშობა, ერთი მხრივ, მიზნად ისახავს მშრომელებს გაიცნონ ამ პროგრამების ამოცანები და რეალიზაციის მიმდინარეობა, ხოლო, მეორე მხრივ — აქტიურად ჩაებას ფართო მასები მათი განხორციელებისათვის ბრძოლაში. ამ მუშაობაში სისტემატურად აბამენ მეცნიერებს, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში.

საკრძნობლად გაუმჯობესდა, აღინიშნა ყრილობაზე, სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგების, მეცნიერებისა და ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების მიღწეული პროპაგანდა. მისი მიზანია ხელი შეუწყოს მშრომელებისა და საქმიანობის ამ დარგების წარმომადგენელთა კონტაქტების განმტკიცებას. სწორედ ასეთი თანამშრომლობის წიაღში იშვა მუშაობის ახალი საინტერესო ფორმები — „აკადემიკოსის ტრიბუნა“, „ნოვატორის ტრიბუნა“, „ქონიერების ტრიბუნა“, „ქონიერების ტრიბუნა“. ბევრს შინაარსს განსაზღვრავს არა მარტო ვრცელი ინფორმაცია, არამედ პრაქტიული რეკომენდაციებიც.

არანაკლებ მზრუნველობით ირის გარემოსილი თვით საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციო-ტექნიკურ მუშობის მოწინავე გამოცდილების შესწავლაც. ყრილობაზე მოიწონეს ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის პირველი ორგანიზაციის ინიციატივა: „სოციალისტური ვალდებულებათა რეალიზაციას — ლენინური უზრუნველყოფას“, რომელიც ემსახურება ცხოვრებასთან პროპაგანდისტული მუშობის კავშირის განმტკიცებას, მისი კონკურენტუნარიანობა და საქმიანი ხასიათის გაძლიერებას. ორგანიზაციული მუშობის გაუმჯობესების მიზნით რესპუბლიკურ გამგეობასთან შექმნილია 30 სპარონოლეგო ჯგუფი. დელეგატები გაეცნენ ბათუმ რკინიგზაციანისა და სამუშაო გეგმებს, რომელთა მიზანია ლენინური პროპაგანდაში აღიკვეთოს ფორმალიზმის, თემატიკური შეზღუდულობის, ზერეფლობის ელემენტები.

ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ როგორც ხაზგასმით აღინიშნა ყრილობამ, ყოველივე ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია იმ დიდი და პასუხსაგები ამოცანების განხორციელების გზაზე, რომლებსაც ცხოვრება აყენებს საზოგადოება „ცოდნის“ წინაშე.

ლექცია

დიალოგია

რა ფასი აქვს ლექციის წაკითხვას ისეთ პრობლემებზე, რომელთა პასუხი უკვე წინასწარ იცის აუდიტორიამ. ყოველი ლექციის დანიშნულება მართალი სიტყვა შეიტანოს მასებში. შეტანოს უსათუოდ ახალი სიტყვა, თორემ სხვაგვარად აუდიტორიასთან დიალოგი არ შედგება. როცა მუშობის ახალი ფორმების დანერგვაზე ლაპარაკობდნენ, ყრილობის დელეგატები ყურადღებას მიაპყრობდნენ იმას, რომ უნდა გაიზარდოს დისკუსიების, დისპუტების, კითხვა-პასუხის საღამოების რაოდენობა, რათა ლექციერ პროპაგანდაში არ იყოს აქტიური და პასიური მხარეები.

საზოგადოებრივი განვითარების დაჩქარებასა და გართულებასთან ერთად რთულდება ლექციური პროპაგანდის ამოცანებიც. იგი ზუსტად უნდა რეაგირებდეს საზოგადოების ცხოვრებაში მიმდინარე ყველა ეკონომიკურ და სოციალურ ცვლილებებზე, იმიტომ, რომ ისინი აყალიბებენ ადამიანის მოთხოვნილებებს, ინტერესებს, ორიენტაციის, და სწორედ მისი გონებისა და გულისკენ უნდა გაიკვალოს გზა ლექტორის სიტყვამ.

მეთერთმეტე ხუთწლედში განზრდება რესპუბლიკის ინდუსტრიული განვითარების მასშტაბი, გაღრმავდება და განმტკიცდება მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის პროცესი. შრომის ნაყოფიერების ზრდასთან ერთად ეს ორი ეკონომიკური, არამედ სოციალური ეფექტიც, კიდევ ეფრო ფართო პერსპექტივები ისახება ეროვნული კულტურის წინაშე მაგრამ ყოველივე ეს აღრმავებს და ართულებს ისეთ პროცესებს, როგორიც არის ურბანიზაცია, მიგრაცია, დემოგრაფიული დისპროპორციები, ადამიანისა და ბუნების კავშირურთიერთობა.

იმისათვის, რომ დროის მოთხოვნებამ, მოწოდების სიმაღლეზე ეიყოთ, საჭიროა - სრულყოთ ლექციური პროპაგანდის მეცნიერული საფუძვლები. ეს კი, ხაზგასმით აღინიშნა ყრილობაზე, გულისხმობს თემატიკის აქტუალურობის ამაღლებას, მისი დამუშავების სიღრმეს, ზედაფენებიდან და გამოსვლებიდან გასაკუთრებული ყურადღება დაეთმო სოციოლოგიური კვლევის როლს აუდიტორიის შეგროებაზე, პრაქტიკულ შედეგებზე, მსმენელთა საქმიანობაზე ლექციური ღონისძიებათა ზემოქმედების ხარისხის პროგნოზირების დროს.

ამ მიზნებს ემსახურება საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობასთან შექმნილი სოციოლოგიური ცენტრი. ცენტრმა გამოიკვლია სხვადასხვა ღონისძიებაზე მშრომელთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები, წინადადებები, რჩევები და კრიტიკული შენიშვნები, რამაც გადამწყვეტი როლი შეასრულა საზოგადოების ლექციური პროპაგანდის გეგმების შედგენისას. მაგალითად, „საქმიანი ურთიერთობა“, რომელიც ცენტრმა მოაწყო თბილისის საწარმოო ბირთვთან ერთად „ისანში“, „ჭიათურმანგანუმის“ მაღაროსამმართველოში, ზესტაფონის ქარხანა „საქკაბელსა“ და ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში, შესაძლებელი გახდა გამოვლენილიყო ხარვეზები, რომელთა აღმოფხვრა ხელს შეუწყობს ლექციური პროპაგანდის დონის, მისი ქმედითობის ამაღლებას. ანალოგიური კვლევა ოგრაფიული ფორგლები. ხალხთა მეგობრობის მუზეუმთან ერთად შექმნილია მოდმიემქმედი ლექტორიუმები მოსკოესა და ლენინგრადში. ისინი ფართოდ უშვებენ პროპაგანდას რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის „საზოგადოებრივ-პოლიტ ფ ა ს ტ ი“, „ულტურული და ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროში.

უძლეველი ფარი,

ბასრი ხმალი

ცოდნა ძალაა. და ის, ვინც მასებს ამ ძალას აძლევს, თვითონ უნდა იყოს დაუფლებული მასრესპუბლიკური საზოგადოება „ცოდნა“, როგორც ყრილობის დელეგატებმა აღნიშნეს, თავის რიგებში აერთიანებს ბევრ შესანიშნავ ლექტორს — ავალიფიციურ, მაღალიდეურ, თავისი საქმის ნამდვილ ოსტატს. მათი მუშობა ხელს უწყობს მსმენელებისათვის ღრმა მრწამსის, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების გრძნობის ჩანერგვას. შინაარსით ღრმად მეცნიერული და ფორმით მკაფიო მათი ლექციები საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების ეფექტიანი საშუალება გახდა.

ჩვენს დროში ლექტორობა — დროში, როცა განუზომლად გაიზარდა ინფორმაციის ნაკადი, როცა პრესა, რადიო და ტელევიზია ახალ ამბებს უწყვეტ ნაკადად გადმოგვიცემენ, მეტად რთული. მაგრამ ინსპირედოდეს პიროობეზიც ლექტორის უბრალო, დამაჯერებელ, ცოცხალ სიტყვას ვერ შეიცვლის ინფორმაციის ეერც ერთი წყარო. ამიტომაც ესოდენ იზრდება ლექტორის, მისი იდეური წრთობის, კვალიფიკაციის, კომპეტენტურობის როლი მთელი პროპაგანდისტული მუშობის ეფექტიანობის. უზრუნველყოფაში. სწორედ ამიტომაც ყრილობამ ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან ამოცანად განსაზღვრა ლექტორთა კადრების მომზადების, დადაზღვევისა და ოსტატობის ამაღლების ერთიანი სისტემის შექმნა.

ახსენებული სკოლები, შუდმივმოქმედი მეთოდიკური ლექტორიუმები, კვალიფიკაციის ამაღლების სემინარები, ლექტორთა დაუსწრებელი უნივერსიტეტი ფართო მუშობას ეწევიან, მაგრამ ამაში გაერთიანებულია ძირითადად საქალაქო და რაიონული ჩაოლეგი, თუმცა ცნობილია, რომ გამოსცდების მეტი ნაწილი მოდის საზოგადოების პირველად ორგანიზაციათა ლექტორების წილად. ამიტომაც ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა შეიქმნას სწავლების ისეთი სისტემა, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს გავაერთიანოთ ყველა კატეგორიის ლექტორები მათი სპეციალიზაციის გათვალისწინებით, უფრო ფართოდ გავაგრძელოთ დამრიგებლობის მოძრაობა მათ შორის, როგორც სწავლების მეტად ეფექტიანი ფორმა. გამაკეთებელი ყურადღება დაეთმო ლექციური მუშობის პრაქტიკაში პროპაგანდისტული ტექნიკის საშუალებათა დანერგვის მნიშვნელობას. უნდა მივაღწიოთ, ითქვა ყრილობაზე, რომ ყველა პირველადი ორგანიზაცია იყოს ნამდვილად შემოქმედებითი კოლექტივი, რომ ყოველნირად განვითარდეს საზოგადოებრივი საწყისები მათს საქმიანობაში.

ლექტორობა ადვილი საქმე როდია. ეს საზოგადოებრივი პროფესიაა თუ თუმცა დიდი სიტყვის ძალა, მაგრამ მაგალითის ძალა შეუდარებელია. ასეთი მაგალითი, უწინარეს ყოვლისა, უნდა გახდეს თვით ლექტორი. კერძოდ, ყრილობაზე ილაპარაკეს ჩხოროწყუს რაიონული ორგანიზაციის ლექტორის გ. ავარაცკელის ინიციატივის შესახებ: „სასურსათო პროგრამის რეალიზაციის — ლენინური სიტყვა და საქმე“, მან გადაწყვიტა თავისი პრაქტიკული წვლილი შეიტანოს საბჭოთა ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა პროპაგანდაში. ინიციატივის წევრებთან ერთად გ. ავარაცკელიამ დადო ხელშეკრულება საბჭოთა მეურნეობასთან და ვალდებულება იკისრა თავისი საკარიდან ნაკვეთიდან ჩაბაროს 700 კილოგრამი ხორცი, 1,5 ტონა ხილი, 2,5 ტონა ყურძენი, 1,600 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. საზოგადოების პირველადმა ორგანიზაციამ, მიიწოდა ეს ინიციატივა, მას მხარი დაუჭირეს სოფლის პედაგოგებმა, ექიმმუშამ, მოსწავლეებ ახალგაზრდობამ.

ამასთან დაკავშირებით ყრილობაზე შეეხებნენ ადამიანთა საქმიან და ზნეობრივ თვისებებს, რომლებსაც ცოდნა შეაქვთ მასებში. ნდობა ლექტორისადმი, მისი პიროვნების დადებითი შეფასება განსაზღვრავენ მისი სიტყვის ზემოქმედების ძალას. და, პირიქით, დაბალი კომპეტენტურობა, პრიმიტივიზმი, თვალის აბეჭედა, რაც ზოგჯერ კიდევ გვხვდება, ძირს უთხრის არა მარტო თვით ლექტორის, არამედ მთელი ლექციური პროპაგანდის ავტორიტეტს. ბევრი ლექტორი და მომხსენებელი, რომლებიც პროპაგანდას უნდა უწევდნენ საუკეთესო მიღწევებს, მოწონავე გამოცდილებას, მოკლებულია უნარს ეოკუზდად და გასაგებად გააშუქონ მათი არსი, დაანერეკონ ადამიანები, დაეხმარონ მათ ყოველივე ახალს, მოწონავის გაეცნეს ცხოვრებაში.

„ეოდნა უძლეველი ფარია არსებობისათვის, ბასრი ხმალი მოგერიებისათვის“. — თქვა დიდმა ილიამ. და ეს ფარი და ეს ხმალი ლექტორის ხელშია. და ამიტომაც ყველას, ვინც სიტყვით მიმართავს აუდიტორიას, ღრმად უნდა ჰქონდეს შეგნებული თავისი პასუხისმგებლობისა და იმ მიზნების განხორციელებაზე თავისი გაკეთილნის ზომა, რომლებსაც ემსახურება საზოგადოება „ცოდნა“ და რომლებსაც უსაზღვრო მათ ცხოვრება.

ყრილობის

რეზოლუციიდან:

ხელი შეუწყოს სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებას, მეთერთმეტე ხუთწლედის სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების შესრულებას. მართალი სიტყვით ჩაუნერგოს ადამიანებს იდეური მრწამსი, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება, საზოგადოების წინაშე მაღალი პასუხისმგებლობა.

ყოველნირად შეუწყოს ხელი იდეოლოგიური, პოლიტიკურ-ადმრწმედლობითი მუშაობის სრულყოფას, ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკულ ამოცანებთან მისი კავშირურთიერთობის განმტკიცებას.

მთავარი ყურადღება დაუთმოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის მასალების პროპაგანდას, ისეთი პრობლემებისა და ამოცანების პროპაგანდას, როგორიც არის სახალხო მეურნეობის მართვის ორგანიზაცია, სახსოვნოთ პროგრამის შემუშავება და რეალიზაცია, სახალხო მოხმარების საქონლით მოსახლეობის უზრუნველყოფის გაუმჯობესება, სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ეფექტიანი გამოყენება.

რეგიონების სპეციფიკისა და ეროვნული შემადგენლობის გათვალისწინებით შემუშაოს ლენინური ეროვნული პოლიტიკის, ხალხთა კაცურობისა და ეროვნული ურთიერთობების ჯანმრთელობის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და საერთაშორისო ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდის სპეციალური გეგმების, უცხოურ ენებზე ამოცანად მიიჩნიოს რესპუბლიკის ეკონომიკურ ინოვაციებზე ორიენტირებული ეროვნული პროგრამა, ეროვნული ეკონომიკური ინოვაციური ინსტიტუტის ფართო ფრონტი, ინოვაციური ბაზრის ინფრასტრუქტურა, ინოვაციური ბაზრის ინფრასტრუქტურა, ინოვაციური ბაზრის ინფრასტრუქტურა

უცხოელ მკითხველებს — საბჭოთა საქართველოს შესახებ

ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში გამომავალმა ახალი ამბების საგაზეთო ჟურნალმა „სოციალ ნიუტმა“ ერთ-ერთი თავიანი ბოლო ნომერი მიუძღვნა საბჭოთა საქართველოს მიღწევებს სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში.

მის ფურცლებზე გამოქვეყნდა ინტერვიუ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატთან, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან ე. ა. შევარდნაძესთან, რომელშიც მოთხრობილია საქართველოს სსრ ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის აყვავების შესახებ.

ჟურნალი ნორვეგიელ მკითხველს აცნობს იმ წარმატებებს, რომლებსაც რესპუბლიკამ უკანასკნელ წლებში მიაღწია პიდროენერგეტიკის, ბუნების დაცვის, სოფლის მეურნეობის, საკურორტო საქმის განვითარების დარგში.

ნომერში დაბეჭდილ მასალებს შორის ნორვეგიელთა დიდი ყურადღება მიიპყრო სტატებმა და ნარკვევებმა თბილისის, ქუთაისის, აფხაზეთის, სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის შესახებ.

ჟურნალში მოთავსებულია მასალები ნოდარ დუმბაძის, კობა გურულის, თთარ იოსელიანის შესახებ.

